№ 130. 21 ივნისი, შაბათი. 1866—1880 21 ივნისი, შაბათი № 130.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რეზნიხმეიდანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად . . | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ . . . . . | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ . . . . . | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კოპ., ჩვეულებრივის ასოებით ასო-რულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**ბუხარესტი** 19 ივნისს, ხმა დავარდა, ვითომც ინგლისს მოეპატიჟნოს რუმინია, რომ უკანასკნელმა გადაუხადოს ოსმალეთს 180,000 გირვანქა სტერლინგი კუსტენჯეს რკინის გზისათვის.

**რაგუზა** 18 ივნისს. სკუტარიაში მყოფს ოსმალოს გუბერნატორთან მისულა დეპუტაცია დულცინოიდამ და დაჰკითხვია დულცინოის ჩერნოგორიისათვის დათმობის შესახებ. გუბერნატორს უთქვამს მე არა ვიცი რაო, და ურჩევია დაიცვათ დულცინოო. ალბანიის ლიგამ 600 კაცი გაგზავნა დულცინოში, რომლის მცხოვრებნი სკუტარაში წავიდნენ.

**პარიჟი** 18 ივნისს. პარიჟში და დეპარტამენტებში ყოველგან იეზუიტებმა დასტოვეს თავიანთი დაწესებულებანი, და გამოაცხადეს, რომ ისინი ძალას უთმობენ. ძლიერი არეულობა არ ყოფილა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 17 ივნისს

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 62 | 50 |
| მეორესი — — — — — | 92 | 08 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 92 | 78 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 37 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— — | 7 | 65 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 229 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 224 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 59 | პენსი |
| გამბურღი — — | 219 | 75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 269 | 25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — | — | | |

### შავი ღრუბლები

ტფილისი, 20 ივნისს.

ომის მოლოდინს გაზეთის ენით „შავს ღრუბელს,“ „შავს წერტილს“ ეტყვიან.

ჩვენც რომ ეს ენა ვიხმაროთ ბევრჯერ მოგვიხდება შავს ღრუბლეებზედ მითითება.

ამ ერთს კვირაში ოთხსავ მხარეს გამოჩნდა ცის კიდეზედ შავი წერტილი:

ჩრდილოეთისკენ, გერმანიაში და დასავლეთისკენ საფრანგეთში, ეს შავი წერტილები სამღვდელოებისა და მმართველობის შუა ჩხუბსა ნიშნავენ; მაგრამ იქ ჩხუბი ომათ არ გადაიქცევა.

სულ სხვაფრივ არის საქმე აღმოსავლეთისკენ ჩინეთში და სამხრეთისკენ ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა.

უკანასკნელის ტელეგრამმებიდამ მკითხველები შეიტყობდნენ, რომ ჩინეთისკენ მრავალი რუსის ხომალდები გამგზავრებულან და სამხედრო დროშა გაუშლიათ. ამას გარდა ჩინეთის ელჩი ცენგი, რომელიც პარიჟში იყო და პეტერბურღში უნდა მოსულიყო რუსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და კულჯის თაობაზედ მშვიდობის ჩამოსაგდებლად, პეტერბურღში აღარ მოვა. ეტყობა ჩინეთის მთავრობას ომი განუზრახავს და უკან დაბრუნება უბძანებია თავისის ელჩისთვის.

პირველის შეხედვით სამხრეთისკენ თითქო საქმე უფრო კარგათ მიდის. ბერლინში თავ-მოყრილს კონფერენციას დაუდვია ქაღალდზედ სამზღვრები ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა. ეს სამზღვრები ისე არიან გაყვანილნი, რომ საბერძნეთსაც და ოსმალეთსაც შეეძლებათ მათი შემაგრება.

ამ გარდაწყვეტილების ძალით ქალაქი იანინა საბერძნეთს რგებია, მაგრამ ოსმალები და მეტადრე ალბანიელები უსისხლოთ არგუნებენ თუ არა, საეჭვოა.

ოსმალეთის წარმომადგენელთ დიდი მედიდურობა და სიამაყე გამოუჩენია დიდ-სახელმწიფოთა წარმომადგენელთა წინ. ზურგი მაგრა აქვთ; ეტყობა დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ქაღალდზედ ყველა სახელმწიფოები თანახმანი არიან, საქმის დროს ეს თანხმობა საპნის ბუშტსავით ჰაერში გაქრება.

### ახალი ამბები

—

შორაპნის მაზრიდამ იწერებიან: სამმა ციმბირიდამ გამოპარულმა კაცმა ლამის ეს მხარე აიკლოს. ჩასაფრებულან ქვირილის ახლო ტყეში და ნათესავები საჭმელს უზიდეენ. გამოდიან ღამ-ღამე, იპარვენ ცხენებს და შემდეგ მიჰყავთ სამეგრელოში ზოგიერთ პირთ მფარველობით. ამ ხუთის დღის წინათაც მოიპარეს ოთხი კარგი ცხენი.

მართალია, ხევის-თავები არიან დადგენილები, მაგრამ თითონ პატრონმავე უნდა იცვს თავში და ეძებოს, თორემ ისინი ყურსაც არ გაიბერტყენ.

გვიკვირსო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ ამ გვარს ავაზაკობას ყურადღებას სრულიად არავინ აქცევს.

***

ბათომიდამ გვატყობინებენ, რომ ზოგიერთს ოსებს საჩივარი გაუგზავნიათ, უმაღლესს მთავრობასთან თავიანთ უფროსებზედ. ეს დისციპლინის დარღვევათ უცვნიათ და ოთხისთვის ორის თვით საპყრობილეში უკრავთ თავი.

***

ამავე ქალაქში თურმე უხვათ ურიგებენ სახელმწიფო ალაგებს სამსახურში მყოფ პირთ, მათ ცოლებს, ცოლის დებს და სხვ.

***

## ფელტონი

—

### წერილები პეტერბურღიდამ

(წერილი პირველი)

ჩვენს ღარიბს ქართულს ლიტერატურაში ცოტა რამ უწერიათ რუსეთის ცხოვრებაზედ და ამის გამო ჩვენი მკითხველი საზოგადოება არ იცნობს საკმაოთ რუსეთს, რომლის ბედთან ერთობ შეკავშირებულია ჩვენი საკუთარი ბედი და იღბალი. თუ „დროების“ რედაქცია უარს არ მეტყვის, მე მსურს ხანდისხან, დრო-გამოშვებით ვემუსაიფო მკითხველებს რუსეთის ცხოვრებაზედ, ლიტერატურაზედ, ეკონომიურს მდგომარეობაზედ და სხ. და სხ.

—

ამ წერილში კი მე მინდა მოველაპარაკო მკითხველთან იმ გარემოებაზედ, რომელზედაც მიქცეულია ეხლა მთელი რუსულ ლიტერატურის და განათლებულ საზოგადოების ყურადღება; ეს არის დიდის რუსის პოეტის პუშკინის ძეგლის აგება და კურთხევა, რომელიც მოხდა 6-ს ამ თვისას. ამ საგანს ჩვენთვის, ქართველებისთვისაც აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ყოველს, ცოტათი მაინც განათლებულს, ქართველს არ ასცილებია პუშკინის გავლენა, და ჩვენი საუკეთესო პოეტები და მწერლები დავალებულნი არიან მის წინაშე. პუშკინის უდროო სიკვდილის *) შემდეგ განვლო ორმოც-და-სამმა წელიწადმა, და მხოლოდ ეხლა ეღირსა მას ღირსეული პატივისცემა საზოგადოებისაგან, მხოლოდ ეხლა, როდესაც პუშკინის პოეტურ ნიჭის დიდებაზე, ძლიერებაზე და მნიშვნელობაზე რუსულ ლიტერატურისათვის შესდგა შეურყეველი და შეუცვლელი აზრი როგორც თვით რუსეთში, აგრეთვე ევროპის ლიტერატურაშიაც.

ამ ორმოც-და-სამი წლის განმავალობაში კი პუშკინის მნიშვნელობაზედ სხვა-და-სხვა ერთი-ერთმანერსის წინააღმდეგი აზრები გამოთქმულა რუსულს ლიტერატურაში. დიდმა რუსის კრიტიკოსმა ბელინსკიმ გაარჩია პუშკინის თხზულებანი და ღირსეულად დააფასა იგინი, თუმცა უმეტესი ნაწილი მწერლებისა, აღზრდილი პსევდო-კლასსიკურ მიმართულებაზედ, რომელიც გადმონერგული იყო ფრანცუზულ ლიტერატურიდგან, არ აძლევდა პუშკინის პოეზიას არავითარს მნიშვნელობას; თვით უწყალო ცენზურაც ისე სასტიკათ და ბარბაროსულათ ეპყრობოდა პუშკინს, რომ საუკეთესო მისი თხზულებათ დაბეჭდვას ან აგვიანებდა, ან სრულიად ამახინჯებდა მათ, რადგანაც ვერ პოებდა მათ პოლიტიკურათ კეთილ-საიმედოთ, და რადგან პუშკინი არ მიბაძავდა ყურ-მოჭრილს მონასავით, როგორც სხვა მწერლები სჩადიოდენ, ძველს ბერძნების, რომაელების და საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის პოეტებს.

პუშკინმა ჩაურთო ლიტერატურას სახალხო ელემენტი, დაიწყო წერა ადვილს, ყველასთვის გასაგებარს ენაზედ; ის პირველი შეეხო თავის თხზულებებში რუსეთის ისტორიას, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას; ნათლათ წარმოგვიდგენს და გვიხატავს იმ უგულო, უაზრო და

*) პუშკინი დაიბადა 1799 წელსა და მოკლა დუელში დანტესმა 1837 წელსა.

რუსული გაზეთის „ობზორის“ გუშინდელ №-ში შემდეგს ახალს ამბავს ვჰკითხულობთ:

„ობზორის“ რედაქტორი ნ. ი. ნიკოლაძე მომავალს 1881 წლის 1 იანვრიდამ აპირობს ყოველ კვირის **სურათებიან** ქართულის გაზეთის გამოცემას „კანდელ“-ის სახელწოდებით. ამ გამოცემის პროგრამმა და სივრცე შეთანხმებულია ცნობილ გაზეთების პროგრამმასა და სივრცესთან, როგორიც არიან მაგ. *Gartenlaube, Daheim, Нива*“ და სხვ. რაც შეეხება „**კანდელის**“ ენას და წერილების შინაარსს, გამომცემელს განზრახვა აქვს სრული სახალხო თვისება მისცეს მათ, და ამასთანავე განსაკუთრებითი ყურადღება ბელლეტრისტიკას ექნება მიქცეული.

მხატვრობით მხარეს რაც შეეხება „**კანდელში**“ იქნებიან პარიჟში გაკეთებული მშვენიერი გრავიურები. გაზეთის ყოველს ნომერში იქნება თითო სურათი ცნობილ მწერლებისა (?) მათის ხასიათის აღწერითვე. გარდა ამისა, განზრახვა აქვს გამომცემელს, „კანდელში“ მოაქციოს მთელი რაზმი ადგილობრივის მწერლებისა და საზოგადოებრივის მოღვაწეთ(?) სურათები და ცხოვრების აღწერა.“

ჩვენის მხრივ ვისურვებთ ღირსეულს წარმატებას ამ მომავალის ახალის გაზეთისას.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ამ წლის მესამე ბროშურა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. საყურადღებო ვერა ვნახეთ-რა ამ ბროშურაში, მხოლოდ რამდენჯერმე გამეორებულს „მოისმინეს“ და „დაადგინეს“ შუა ერთი სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხეთ: საზოგადოებას გადაუწყვეტია, სთხოვოს მთავრობას აკრძალოს სამზღვარ-გარეთიდამ შემოტანა არამც თუ ვაზისა და სხვა ხეხილისა, ყურძნისაც კი, რადგან შეიძლება ამათ ფილოქსერათან შემოჰყვეს.

ბროშურა თავდება ბ. სულხანოვის კორრესპონდენციით, რომელიც ყოველს გაზაფხულზედ საზოგადოებას ატყობინებს ზამთარი გათავდაო და ყოველს შემოდგომაზედ — ზამთარი მოგვდისო. უკანასკნელს კორრესპონდენციაში ბ. სულხანოვი ამბობს კიდევ, „დასავლეთ - აღმოსავლეთის“ ქარებმა შეგვაწუხესო!

* * *

ადრე მდივანბეგების სტუმრობა იყო გათქმული; ეხლა მდივანბეგების მაგივრობას ჩაფრები და ბლოკჩინები სჩადიან; ჩვენ გვატყობინებენ, რომ ზოგიერთი ბლოკჩინი და მეტადრე ერთი მათგანი უჭირებენ მღვდლებს საქმეს. ეს გათქული მამა ეწვევა თურმე საწყალ სოფლის მღვდელსა რაიმე საქმის გამო (ან დასახედათ, ან შესამოწმებლად, ან გამოძიებისთვის) დაჯდება, დღეს-ხვალიოთ საქმეს ორ კვირას გაატარებს, შეუჭამს ქათამს, ინდოურს, ბატს, იხვს და კრუხათ დასასმელს თუ დაარჩენს, რომ მეორეთ სტუმრობისთვის წიწილა გამოასხმევინოს. რაც კი მოეწონება, მაგალითად საქონის ჭურჭელი, სუფრა, ან სხვა რამ ნივთი, ხელს მოავლებს; იფ, რა კარგია, მომყიდეო; საწყალი მღვდელი ფულს როგორ გამოართმევს. ორი კვირა შესჭამს, შესვამს, გაფუცქვნის და საქმესაც არ გაათავებს, მერე იყოსო. ახლა დატვირთული კაის საგძლით და ნაშოვნით ადგება და სხვას ესტუმრება. ამ გვარი სტუმრობა ხშირად თურმე იცის, წელიწადში ორჯელ და ამის მოგზაურობის შემდეგ სოფლის მღვდლების ოჯახი სრულიად მტრისაგან აკლებულს ოჯახს ემსგავსებაო. საკვირველი ეს არის, რომ ამისთანა პირებს დიდი ხანია უჩივიან სოფლის მღვდლები და ბლოკჩინათ კი ისევ ისინი რჩებიან.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**კახეთი**, 13 ივნისს. ამას წინად „დროებაში“ იყო თელავიდამ ცნობილი აქაურის სბორშჩიკის ფ. ქ. ბოროტ-მოქმედება. ამ საგნის შესახებ თელაველ მოქალაქეთა კომმისიამ დაასრულა თვისი მოქმედება, აღმოაჩინა მართლა მრავალი ბოროტ-მოქმედება ფ. ქ—ლისა და ჰსთხოვა მაზრის სამმართველოს, რომ ამ უკანასკნელს მოეთხოვნა დამნაშავისათვის ანგარიში და პასუხი. მაგრამ რადგანაც მაზრის სამმართველომ საჩივარზედ არავითარი განკარგულება არ მოახდინა, კომმისიამ გარდასწყვიტა იჩივლოს ღუბერნატორთან თვით მაზრის სამმართველოზედ, რადგანაც უკანასკნელი „ყურს არ ათხოვებს ჩვენს საჩივარსა და შეწუხებასაო“, ერთი აქაური დეპუტატისა არ იყოს. როგორც ისმის, კომმისიას გაუგზავნია საჩივარი ღუბერნატორთან.

ერთმა დეპუტატთაგანმა დაგვარწმუნა, მას რამდენჯერმე უთხოვნია მაზრის უფროსისათვის, მის თანაშემწისათვის და პრისტავისათვის, რომ ამ და სხვა გვარ ბოროტ-მოქმედების მოსპობაში დაგვეხმარეთო, მაგრამ ყველა ესენი სულ სხვა-და-სხვა პასუხს გვაძლევენო: ერთი მეუბნება — „მე თქვენთვის არა მცალიანო!“; მეორე — „უფროსი მოვა და მაშინო“; მესამე — „მე ჯერ ბრძანება არ მიმსვლიაო ამა-და-ამ საქმის აღსრულებაზედო“ და სხვა ამ გვარები! ამ გვარად გახლავთ საზოგადოდ კახეთისა და კერძოდ თელავის საქმეები; ჩვენებური ახალი ამბებიც ეს არის ძველიცა... „დროების“ მკითხველნი ამ ცოტას ხანში უფრო უკეთესს ახალს ამბავს წაიკითხავენ კახეთიდამ, შესახებ „შკოლის გარდასახადისა“.

კახეთის მემატიანე.

*P. S.* შენიშვნა საცხენისის შკოლის შესახებ. ხსენებულის შკოლის რევიზიის შემდეგ, როდესაც რევიზორები სხდებოდნენ ეტლში, შემოეხვივნენ მთელი შეგირდები და შესჩივლეს რევიზორებსა: „მთელი ზამთარი სიცივითა და შიმშილით გვხოცავდენო!“ რევიზორებმა უპასუხეს ცივად: „აქამდინ რათ არ გვითხარით, ახლა გვიანღა არისო!!“ დახედეთ თქვენ სამართალსა; ბავშვებს მოლოდინი აქვსთ, ჩვენცა გვკითხავენ რასმეო, და, რაკი არა ჰკითხეს რევიზორებმა, თვით აღიარეს რევიზორების წინაშე თვისი შეწუხება! ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი შეწუხებული და შევიწროებული უნდა იყოს მოსწავლე, რომ თავის უფროს უჩივლოს მთავრობასთან! რატომ ამ საჩივარს ყურადღება არ მიაქციეს რევიზორებმა?! *)

კახელი მემატიანე.

## შოთა რუსთველის „ვეფხვის ტყაოსნის“ განგრძობა

(წერილი რედაქტორთან)

ეს ორი კვირაა მე ხელთა მაქვს გადასაწერად მე-XVII საუკუნის (მგონია უფრო ცოტა ადრინდელიც) ხელნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“, შესანიშნავი მით, რომ ამ ეგზემპლიარში უკვდავი შოთას პოემის ბოლოა სრულებით გარკვეული. მე არ შემიდარებია თავიდგანვე ეს „ვეფხვის-ტყაოსანი“ ბ. ჩუბინოვის გამოცემულ „ვეფხვის - ტყაოსანთან“, მხოლოდ გადავათვალიერე ბოლო ამ „ვეფხვის-ტყაოსნისა“.

ორი წილი გადავსწერე და ივნისის გასულს „ივერიაში“ დასაბეჭდათ წარმოვადგენ; ეხლა ამ მოკლე ცნობას ვაცხადებ, მათთვის, ვინც „ვეფხვის-ტყაოსანზედ“ იცის რამე, რომ მათაც წარმოსთქვან თავიანთი აზრი; ხოლო დამტკიცება, რომ ეს ბოლო ნამდვილ შოთას ნაწერია, მივანდოთ ჩვენს ლიტერატორთ-ისტორიკოსებს. მე კი ეხლავე ვაცხადებ, რომ ზოგიერთს

*) კავკასიის სწავლა-განათლების გამგე ამ საცხენისის შკოლის ზედამხედველს მადლობას უცხადებს უკანასკნელს ცირკულიარში სასწავლებლის წესზედ დაყენებისათვის.

რედ.

---

მონებრივს საზოგადოებას, რომელმაც შთანთქა და მოინელა ზოგიერთი ნიჭიერი მწერალი და თვითონ პუშკინიც. ყოველივე ეს დააფასა ბელინსკიმ, რომლის აზრი პუშკინზე, აგრეთვე როგორც სხვა საუკეთესო მწერლებზე, ვერ შეარყია დრომ და ვითარებამ.

მე-60 წლებში, ერთმა ახალგაზდა ნიჭიერმა მწერალმა პისარევმა წარმოსთქვა სრულიად წინააღმდეგი აზრი; ეს მწერალი ამტკიცებდა ვითომ პუშკინი არც პოეტი ყოფილიყოს, არც თანამედროვე ლიტერატურის მოწინავე მწერალი; ამის გამო არა ჰსახავდა მას დიდის ყურადღების ღირსად. პისარევი ამტკიცებდა, ვითომ პუშკინი მხოლოდ ენის შემმუშავებელი—დიდი სტილისტი იყო. რასაკვირველია, ეს აზრი ყოვლად უსაფუძლოა და მას ერთი ასიოდე კაცი თუ წარმოსთქვას, თორემ მეტი არა. ჩვენ არ შევუდგებით პისარევის აზრის უსაფუძლობის დამტკიცებას, ერთის მხრით მისთვის რომ ეს ცხადია ყველასთვის, ვისაც კი პუშკინი უკითხავს და მეორეს მხრით მისთვის, რომ ეს მოითხოვს პუშკინის უმთავრეს თხზულებათა გარჩევას და ეს ჩემის წერილის საგანი არ არის.

ეხლა კი თითქმის ყველა ერთმანერთის მოწინააღმდეგე ბანაკების მწერლები ერთისა და იმავე აზრისანი არიან პუშკინზედ; იმისმა ძეგლის კურთხევამ შეაგროვა მოსკოვში თითქმის ყველა პეტერბურღის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების, სხვა და სხვა სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებათა და სასწავლებელთა წარმომადგენელნი, მრავალი კერძო პირები, ზოგიერთი ქალაქების თვითმმართველობის დეპუტატები და სხვა. ტელეგრამმებს და ადრესებს რიცხვი არა აქვსო, პანაშვიდზედ, სადილებზედ და წარმოდგენებზედ, რომელნიც პუშკინის სახსოვრათ გამართეს, არაფერს ვიტყვი. მე მინდა მხოლოდ ვსთქვა ორიოდე სიტყვა ამ ამბის საზოგადო მნიშვნელობაზე.

რა დაცემულია რუსული ლიტერატურა ამ თხუთმეტი წლის განმავალობაში—ცხადია ყველასთვის, ვინც თვალს გარდაავლებს რუსულ ჟურნალ-გაზეთებს; არამც თუ ლიტერატურას არა ჰყავს ნიჭიერი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, არამედ მან დაჰკარგა უანგარება, პატიოსნება, რწმუნების სიმტკიცე; მართლაც საზარელი სურათია, როდესაც ლიტერატურა დაივიწყებს იმ თვისებებს, რომელნიც შეადგენენ მის ძალას; რუსული ლიტერატურა დღეს სწორეთ ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, როგორშიაც იყო ფრანცუზული ლიტერატურა ნაპოლეონ მესამის დროს.

ლიტერატურის ამისთანა საზარელი მდგომარეობის მიზეზნი არიან უპირველესად თვით რუსეთის ცხოვრების წყობილება, მერმე ცენზურა, რომელიც სდევნის თავისუფალს აზრს და მერმე ის გარემოება, რომ ლიტერატურას დაეპატრონე აფერისთები, რომელთათვის ლიტერატურას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც—მედუქნისთვის დუქანს. (რასაკვირველია, ორიოდე ამათ რიცხვში არ ჩაითვლებიან).

ზემო მოხსენებულის უმთავრესის მიზეზების გამო რაც პატიოსანი, უანგარო, გამბედავი მოიპოვებოდა ლიტერატურაში ან ხმა ჩაიწყვიტა და განს გადგა, ან უხალისოთ ლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებს გარდა ეს „ვეფხვის-ტყაოსანი“ ნამდვილია *).

მე 1571 ტაეპის შემდეგ იწყობა: **„ტარიელისგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“**. სულ 22 ტაეპია; შემდეგ: **„აქა ტარიელისგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება.“** ეს თავი სულ 37 ტაეპია. შემდეგ: **„ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა.** ამ თავში 3 ტაეპის შემდეგ, ე. ი. მე-4 ტაეპიდან იწყობა ბ. ჩუბინოვის გამოცემის მე-1572, 1573, 1574 და 1575 ტაეპები; შემდეგ 6 ტაეპია ჩამატებული; შემდეგ მე-1576 ტაეპია, აქ ჩამატებულია ეს ტაეპი:

„ტარიელ რამაზ მეფესა უბოძა საბოძვარია
უბრძანა: „ხარკსა მომცემდი, მართ ვითა შენი გვარია“.
მან თაყვანი სცა პირსა ქვე მიწამდის დამდებარია
და წავიდა მისი მლოცველი არ ომთა მაკვეხარია“.

შემდეგ მე-1577, 1578, 1579, 1580 და 1581 ტაეპებია, შემდეგ ჩამატებულია ეს ტაეპი:

„მასცა (ფრიდონს) უბოძა ფარმანი:
„წა სახლი მოიარეო,
მე ნუ გამწირავ, მნახევდი ადრე მობრუნდი გარეო“.
ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო
და რადგან ისწრაფი, რაღა ვქნა, მიგელის ლომსა მთვარეო“.

ამის შემდეგ არის მე-1582, 1583, 1584, 1585, 1586 და 1587 ტაეპები აქ ჩამატებულია ერთი ტაეპი; შემდეგ არის მე-1588 ტაეპი, სულ 29 ტაეპია ამ თავში. შემდეგ არის:

**„აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშასაგან სისხლისათვის მოხდომა“**. სულ 16 ტაეპია. შემდეგ არის: **„ესმა ინდოთ მეფესა მისვლა ხვარაზმელთა ინდოეთში“**. სულ 13 ტაეპია.

შემდეგ არის: **„გამარჯვება ხვარაზმთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედა“**. სულ 5 ტაეპია. შემდეგ არის: **„ტარიელისგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშველად“**. აქ სულ 28 ტაეპია. შემდეგ არის: **„მისვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშველად“**. სულ 13 ტაეპია. შემდეგ არის: **„აქა ავთანდილის და ფრიდონის წასვლა ხვარაზმშას საომრად“**. სულ 31 ტაეპია, შემდეგ არის: **„ომი ზედ დასხმით ხვარაზმთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა ზედა“**. აქ სულ 48 ტაეპია, შემდეგ არის: **„ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცვალებოდა, მის ჟამის ნათქვამი“**. აქ 30 ტაეპია.

ამის შემდეგ არის: **„სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან დარეჯანისა“**. სულ 6 ტაეპია.

შემდეგ: **„ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ჟამსა“**. აქ 16 ტაეპია.

შემდეგ: **„სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა“**. აქ 6 ტაეპია, მეექვსე ტაეპია 1589.

ბოლოს არის: **„მისვლა ფრიდონისა და ტირილი მმობილთა მისთა ტაგრუცსა ზედა“**. აქ 11 ტაეპის შემდეგ არის მე-1590 ტაეპი; ამის შემდეგ ჩამატებულია ერთი ტაეპი.

„მე ესე ვსთქვი ქება თამარის, ხმელთა შიგან მნათობისა,
ვთქვი ქება მათი მიზეზად, მქონდა ქებისა მათისა
რომანულისა ფუალისა, მისი ბროლისა სათისა
და მემცა ვით მექო ვერ აქებს ბრძენი შემოკრბეს მათისა.“

ამის შემდეგ არის 1591 და 1592 ტაეპები ცოტა ცვლილებით, შემდეგ ჩამატებულია:

„დასრულდა ესე ამბავი მათ ხელმწიფისა დიდისა,
ამოდ სასმენი, ბოლოს ჟამ საბრალო არსთა კიდისა
მოყვარენი ვინც იყურებთ—არა ჩავარდნა ხიდისა
და ნახეთ, გასინჯეთ სიცრუე სოფლისა ამა ფლიდისა“.

ამის შემდეგ არის უკანასკნელი მე-1593 ტაეპი.

როგორც ხედავთ მთელი „ვეფხვის-ტყაოსნის“ ბოლოს აქვს შეუწყვეტელი კავშირი, რომელსაც შემდეგში უფრო ცხადათ დაინახავთ.

მთელი „ვეფხვის-ტყაოსანი“ შესდგება 1907 ტაეპიდან, დაბეჭდილში კი მხოლოდ 1593, ე. ი. 314 ტაეპი ახალი ემატება ეხლანდელს ჩვენს „ვეფხვის-ტყაოსანს“.

მართლაც, აბა კარგათ გადაათვალიერეთ 1542—1593-მდე ტაეპები; ძნელათ ნახავთ მათ შორის კავშირს: ერთი ტაეპი სხვაა და მეორე სხვა. მათი შინაარსი ერთი-ერთმანეთისას არ უდგება. ეს უკავშირობა ამ ბოლო ტაეპებში ყველას აფიქრებინებს: „ნუ თუ დიდებულმა შოთამ ანკარასავით მომდინარე ამბავი ბოლოს ასე არივ-დარიაო?“

პოლიევქტოს კარბელიშვილი.
ს. გურჯაანი, 11 ივნისს 1880 წ.

*) ამ ხელ-ნაწერის პატრონმა მითხრა: ფალავანდოვმა მთხოვა ეგ წიგნი და გერ ვათხოვეო, დაკარგვისა მეშინოდაო; 1846 წ. ბ.ბ. ბროსსემ, ჩუბინოვმა და ფალავანდოვმა დაბეჭდეს „ვეფხ.-ტყ.“ და ამ გამოცემისთვის ნდომიათ ეს ხელნაწერიც.

### ბ. აბაშიძეს

ბ. აბაშიძე ჯერ გვარწმუნებდა, რომ ქართული თეატრის ამხანაგობა ჯარიმას ახდევინებს აქტიორს, რომელიც თავის აზრს გამოსთქვამს ბ. თუმანიშვილის ბროშურაზე; გუშინ კი გამოაცხადა, რომ უკანასკნელად ბორიდამ რომ დავბრუნდით ბ. თუმანიშვილი დამემუქრა და უნდოდა ამ გვარი ჯარიმის დანიშვნაო. ეხლა მკითხველი კასსირის—ჩუბინოვის ქვემოთმოყვანილ წერილიდამ ნახავს, რომ ბორიდამ დაბრუნების შემდეგ ფიქრათაც არ მომსვლია ამ სულელურ ჯარიმის დანიშვნა. მე მაშინ აბაშიძისათვის ჯამაგირიდამ მსურდა რამდენიმე მანეთის დაჭერა მხოლოდ იმიტომ, რომ „მერკადეში“, თავის ბენეფისში სრულებით როლი არ იცოდა; ამას გარდა ბორში წარმოდგენის დროს კულისებში საშინელი აყალმაყალი მოახდინა და სცენაზედ გამოსვლის უარს ამბობდა.

ბ. აბაშიძე ყველა ამას ივიწყებს და გაბრაზებული, სკანდალში თავის გასამართლებლად, მოჰყოლია ცილისწამებას. სიცრუვეს ისე გაუტაცნია, რომ დღეს აღარ ახსოვს რაც გუშინ უთქვამს. პირველ წერილში ამბობდა ამ უკანასკნელს ოთხ თვეს ხუთ თუმნის ჯამაგირიდამ ერთს თუმანზე და თუთხმეტ მანეთზე მეტს არ მაძლევდენ თვეშიო; გამოდიოდა რომ თოთხმეტ-თუთხმეტი თუმანი ჯარიმა გადახდომია. ეხლა კი იწერება, სულ ექვსს თუმანს და ორსა და ათ შაურს შეადგენს ჩემი ამ დრონიდელი ჯარიმებიო, „ულოლიკობა თუ გინდათ ეს არის!!!“

გ. თუმანიშვილი.
29 ივნისს.

უკანასკნელად ბორიდამ რომ ჩამოვედით, რეჟისსორმა ბ. თუმანიშვილმა მთხოვა, რომ ვ. აბაშიძისათვის ჯამაგირში რამდენიმე მანეთი დამეჭირა, რადგან ამან აყალ-მაყალი მოახდინა ბორში წარმოდგენის დროს კულისებში (არ მოსწონდა ჩოხა, რომელშიაც უნდა ეთამაშნა). მაგრამ ბ. თუმანიშვილი ავად გახდა, ამხანაგობამ ამ ამბავზე არაფერი არ იცოდა და სრულიად მიმაცემინა ჯამაგირი აბაშიძისათვის.

ა. ჩუბინოვი.

შენიშვნა. ამით ვათავებთ ამ ბაასს მკითხველთაგან ცნობილს სკანდალის თაობაზედ ატეხილს. რედ.

## ნარევი

**შვილის მკვლელი დედა.** ერთი ავსტრიული გაზეთი ამბობს: თხუთმეტის წლის წინეთ ერთი ყმაწვილი კაცი გამოეთხოვა დედას, თავის ორ ძმას და წავიდა ამერიკაში სიმდიდრის მოსაპოვებლად. მასუკან იმის ამბავი აღარავის რა შეუტყვია; ნათესავებს

კობს მხოლოდ იმისთანა საგნებზედ, რომელნიც მრავალჯერ გადაღეჭილია და მხოლოდ რომელზედაც აძლევენ წერის ნებას; ან შეეხება იმისთანა საგნებს, რომელთაც ცოტა კავშირი აქვთ რუსეთის ცხოვრებასთან.

მისთვის აქვს პუშკინის დღესასწაულს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით ასე დაცემულის ლიტერატურის წარმომადგენელნი ერთად შეიყარნენ და რაც ამ ოცის, თხუთმეტის წლის განმავლობაში ცოდვა ჩაუდენიათ ნებით ან უნებურათ, ვითომ მოინანეს; ჰგავს მათშიაც გაიღვიძა გრძნობამ, რა საზარელ მდგომარეობაშია რუსული ლიტერატურა; მისთვის აქვს ამ დღესასწაულს მნიშვნელობა, რომ ერთხელ მაინც გაუღვა მწერლობას პატიოსანმა აზრმა თავში რამდენიმე დღის ან კვირის ვადით.

ბევრი რუსის მწერალი იმედოვნებს, რომ ეს დღესასწაული და საზოგადო შენანება განაახლებს ლიტერატურის ატმოსფერას და ეხლა, მათის აზრით, ყველა მწერლები ძმურად, ერთგულად შეუდგებიან საზოგადოების სამსახურს; ეს იმედი სულ ტყუილია: გაივლის რამოდენიმე დღე, კვირა, მწერლებს დაავიწყდებათ ზემოხსენებული პატიოსანი აზრი და შენანება და ლიტერატურა დაადგება ძველს, თელილს გზას. ლიტერატურა სულ იმავე მდგომარეობაში იქნება, როგორშიაც დღემდი იმყოფება, ვიდრე ამ საზარელის მდგომარეობის მიზეზნი არ მოისპობიან. პუშკინის უძეგლობა არ ყოფილა მიზეზი, და ამისთვის მისი ძეგლის აგება ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას.

უმთავრესი მნიშვნელობა პუშკინის დღესასწაულისა ის არის, რომ ლიტერატურის წარმომადგენელთ ერთხელ მაინც შეინანეს თავისი ცოდვანი: მგელს, მელიას და კროკოდილს ერთხელ მაინც წარმოედინათ ცრემლები; ერთხელ მაინც გვესმა მათი გულის ცემა და ტირილი. პუშკინის ძეგლი ლოდათ უნდა დააწვეს გულზე იმას ვინც მას სდევნიდა და ვინც ეხლა სდევნის მამულისა და ლიტერატურის საუკეთესო მსახურთ; იმას, ვინც დაივიწყა ლიტერატურის ნამდვილი მნიშვნელობა, პატიოსნება, უანგარება და ემსახურება ფულსა და ჯიბეს; ამ გვართ პირთ ისე უწყალოდ ჩაჰქოლავს მომავალი, როგორც პუშკინის ძეგლი ჰქოლავს იმ ნიადაგს, რომელზედაც სდგას; ამათ უნდა ახსოვდეთ, რომ მომავალი გააუკვდავებს იმას, ვინც უანგაროთ, მტკიცეთ, ხალისით ემსახურება სამშობლო მხარეს და ლიტერატურას.

პეტერბურღში და მოსკოვში ბევრი ძეგლი სდგას ხემწიფეების და სპასალარებისა, მაგრამ დღემდის მხოლოდ ორიოდე მწერლისათვის აუგია საზოგადოებას ძეგლი. პუშკინი ეხლა ეღირსა ამ პატივისცემას და მის დღესასწაულზე გამართეს ხელის მოწერა ბოგოლისთვის ძეგლის ასაგებათ. კარგი ნიშანია, რომ რუსეთის განათლებულ საზოგადოებამ და ლიტერატურამ ადრე თუ არა, გვიან ხომ მაინც მოიგონა თავის მწერალნი, რომელთაც სპასალარებზედ თუ არ მეტი, ნაკლები სამსახური არ მიუძღვისთ მამულის წინაშე.

ა. ნალი.
1880 წ., 10 ივნისი.

მკვდარი ეგონათ და კიდეც გამოიგლოვეს.

ერთის თვის წინათ ორს ძმას ერთ უცხო-კაცი სწვევია და უთქვამს, რომ მე თქვენი ძმა ვარ. ძმებს რასაკვირველია იამებოდათ, მეტადრე, როცა შეიტყვეს, რომ თან სამასი ათასი ფლორინი ფული ჰქონდა ამერიკაში ნაშოვნი. ძმებმა უთხრეს ახლად მოსულს რომ დედა ჩვენს აქვე ახლო სოფელში ტრაქტირი აქვსო.

უმაწვილი კაცი წავიდა დედასთან, მაგრამ დააწყეს რომ თავი არ უნდა გაემხილებინა, ვიდრე ორის დღის შემდეგ ორი ძმაც არ მოვიდოდა.

თუთხმეტს წელიწადში ისე გამოცვლილიყო ეს—კაცი, რომ დედამ ველარ იცნო. დაწოლის წინათ დედასა სხთხოვა, ეს ფული შენს დაკეტილს ზანტუკში შემინახე ხვალამდისინაო და მიაბარა სამასი ათასს ფლორინი (ორი ათასზედ მეტი). ფულის სიყვარულმა დედა-კაცს თვალი დაუბნელა; იმან აიღო ხელში სამართებელი და ყელი გამოჭრა მძინარე შვილს; სხეული ბნელს სარდაფში დამალა.

ორის დღის შემდეგ ძმები მოვიდნენ და ჰკითხეს დედას: უცხო კაცი ხომ არავინ მოსულაო. დედას ფერი ეცვალა; შვილებმ გამოჰკითხეს & როცა შეატყობინეს, ვინ იყო ყელ-გამოჭრილი. საცოდავი დედა კაცი სასამართლოში გაიქცა ღრიალით: „მომკალით, მე ჩაქოლვილი, მომკალით. ჩემის ხელით მოვკალ ჩემი შვილი, მომკალით!“

***

**ზღვის სიღრმე.** ერთი ამერიკელი ხომალდი გავზავნილი იყო ზღვის სიღრმის გასაშინჯათ; მრავალს ალაგას გაზომეს დიდი ოკეანე რომელიც სხვა ოკეანებზედ უფროღრმად ითვლება და ერთგან იმ სიღრმემდე მიუწიეს, რომ ჯერ სხვაგან არსად არავის შეხვედრია ამ სირღმემდე მიღწევა. დიდს ოკეანეში ჩრდილოეთის მხარეს საზომმა ტყვიამ ზღვის ფსკერს მხოლოთ 8,513 მეტრზედ (რვა ვერსის სიღრმეზედ) მიუწია.

***

**კონცერტი, ტალღების ყურებით.** ქალაქს ონთარიოში, (ამერიკაში) განუზრახავთ სერის ნაპირას, საიდამაც მდინარე ნიაგარა ერთბაშათ უფსკრულში ვარდება სასეირნო ბაღის გამართვა და იმ ბაღში კონცერტების გამართვა. საუკეთესო მცოდნენი მუსიკისა მიიღებენ მონაწილეობას ამ კონცერტებზედ და ისე დაუკვრენ მუსიკას, რომ წყლის ტალღების ღრიალს ააყოლონ.

---

**სტამბური შეცდომა.** გუშინდელ №-ის ფელეტონში მესამე სვეტზე სამჯერ შეცდომით არის დაბეჭდილი **მაცვე** უნდა იყოს **მყავე**.

---

# განცხადებანი

ქუთაისის საადგილ-მამულო
# ბანქისაგან
გამოკრება

**ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის წევრთა მესამე მორიგ-საზოგადო კრების პროტოკოლებისაგან.**

საზოგადო კრება გაიხსნა 30 აპრილს 1880 წლისა ზედამხედველის კომიტეტის თავ-მჯდომარის ა. ი. ფიფინოვის თავ-მჯდომარეობით 102 წევრთა თან-დასწრებითა და განეგრძო: 1 მაისს 159 წევრთა, 2—240 წევრთა და 4 მაისს თან-დასწრებით 370 წევრთა,—ხმის მქონეთა.

საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ბანკის ანგარიში 1879 წლისა, ხარჯების სქემა 1880 წლისა და ზედამხედველის კომიტეტის მოხსენებანი იმ საგნებზე, რომელნიც კრების განხილვას ექვემდებარებიან, დადგინა:

1) ბანკის სამმართველოის ანგარიში ბანკის 1879 წლის მოქმედებაზე და აგრეთვე განაწილება ბანკის მოგებისა, ამ ანგარიშისა მებრ, დამტკიცდეს;

2) აგრეთვე დამტკიცდეს წარდგენილი 1880 წლის ხარჯების სქემა, რომელიც შეადგენს 26,794 მან., ხოლო მოულოდნელის ხარჯებისათვის დაინიშნოს 2000 მან.

3) ბანკის დასაფუძნებლად დანიშნულის თავნისაგან მიეალებული 1873 წელსა თ-დს სიმონ აბაშიძეზე და აწ უკუ გადახდილი მისმიერ ფული 32,765 მანეთი მიემატოს, თანახმად ბანკის სამმართველოის და ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებისა, ამა ბანკის საძირო თავნს;

4) ბანკის სამმართველოის და ზედამხედველის კომიტეტის მოხსენება წლიურის შემოსატანისაგან იმ გადასახადის შემცირებაზე, მოვალეთა შესამსუბუქებლად, რომელიც, ბანკის წესდების § 31 საფუძვლით, არის დანიშნული: ა, სათადარიგო თანხის შესადგენად, ბ, ბანკის ხარჯად და გ, ქუთაისის გუბერნიის მიწის მფლობელთა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელის თანხის შესადგენად,—½ პროცენტით, ე. ი. 1½% შემცირება 1%-ად დამტკიცდეს;

5) თანახმად ზედამხედველი კომიტეტის წარდგინებისა, ბანკის 1879 წლის მოგებიდამ, რომელიც დანიშნულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, გადიდოს: ა, სააზნაურო შკოლის 1880 წლის ხარჯად 6000 მან.; ბ, „წერა-კითხვის გამავრცელებელის კავკასიის სანამესტნიკოის ქართველთა შორის საზოგადოების სასარგებლოდ 1000 მან., გ, ქუთაისის სასწავლებლების ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების სასარგებლოდ 1000 მან., დ, ოლგას საქალებო გიმნაზიის შესაწევრად 1000 მან., ე, უმაღლესის სასწავლებლების ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად 900 მან. და ვ, სამის სტიპენდიის თანხის შესადგენად 1000 მან., სულ 10,900 მან.;

6) **ხელმწიფე იმპერატორის** ოცდა-ხუთის წლის მეფობის დიდებულის დღის სახსოვარ-სადიდებლად: ა, მიენდოს ზედამხედველ-კომიტეტს დადგენილი წესით იშუამდგომლოს, რათა ახლად გახსნილის ბანკის შამუალებით სააზნაურო შკოლას მიენიჭოს **მისი უდიდებულესობის** სახელი „**ალექსანდრესი**“, და ბ, თუ ტფილისში უნივერსიტეტი გაიხსნა, იმ უნივერსიტეტის სასარგებლოდ შეეწიროს 40,000 მანეთი;

7) თანხმად ბანკის სამმართველოის და ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებისა, ბანკმა მომავალში აგზავნოს თვისი წარმომადგენელი რუსეთის საადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების სხდომებზე დასასწრებლად და თან მიიღოს მონაწილეობა ხსენებულთა კრებათა კომიტეტის ხარჯებში;

8) დირექტორის მოადგილეს, როცა იგი ასრულებდეს სამმართველოს წევრის თანამდებობას, დაენიშნოს დღიურის შრომისათვის სამი მანეთი;

9) წარდგენილი წესები, თუ რარიგად უნდა მიიღებოდნენ ქუთაისის გუბერნიის აზნაურთაგან ბანკის ძირის თავნის მისამატებელი ფულები, ბანკის წესდების § 2 საფუძვლით,—დამტკიცდეს, მხოლოდ იმ დამატებით, რომ იმ აზნაურმა, რომელსაც საბატონო გლეხთა პირადის სამსახურის სამაგიერო უმაღლესად ნაბოძები სასყიდელი მიუღია, მაგრამ ბანკის დასაფუძნებლად საწილადო ფული ჯერ კიდევ არ შემოუტანია,—უნდა შემოიტანოს არა-ნაკლებ 10 პროცენტისა ხსენებულის ნაბოძების სასყიდლისა, და

10) თ—დის პეტრე წულუკიძის და მასთან 49 საზოგადოების წევრთაგანთა საჩივარი ზედამხედველის კომიტეტის და ბანკის სამართველოის შეერთებულის სხდომის განაჩენზე ამ წულუკიძის დამფასებელის კომმისსიის წევრის თანამდებობიდგან დათხოვაზე დარჩეს უშედეგოდ.

კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ ხმის უმრავლესობით: სამმართველოის წევრად თ—დი ნ. დ. ერისთავი, ზედამხედველის კომიტეტის წევრებად თ—დნი: ა. ნ. ლორდქიფანიძე. და კ. ბ. ლორდქიფანიძე; ხოლო სამართველოს წევრის მოადგილედ ერთხმად ვ. ნ. აბულაძე.

კრებამ დაადგინა: უწინდელის სამმართველოის წევრს თ—დს დ. გ. ერისთავს, რომელიც მორიგით გამოვიდა და ხელ-ახლავ კენჭის ყრაზე უვარი ჰყო, მიეცეს ერთ-დროულად, ჯილდოდ მისის საზოგადოებისადმი სამსახურისათვის, ერთის წლის ჯამაგირი.

ბოლოს საზოგადო კრებამ გამოუცხადა მადლობა ზედამხედველს-კომიტეტს საზოგადოდ და მისს თავს მჯდომარეს განსაკუთრებით.

ამის შემდეგ კრება დახურულ იქმნა 4 მაისს ნაშვადღევის 4 საათზე.

(1—1)

---

**კავკასიის აქეთა მხრის საქალებო ინსტიტუტის რჩევა** უცხადებს, კანდიდატების მშობლებსა, ნათესავებსა და აპეკუნებს, რომ კენჭის ყრით, რომელიც ამ 4 ივნისს მოხდა ინსტიტუტში პანსიონერკებათ მიღებული არიან შემდეგი კანდიდატკები.

**ადგილობრივ მცხოვრებთ განყოფილებაში:** სრულიად ობლები—**მართა გედევანოვისა** აზნაურის ქალი და **ელენე შაბურთვისა** პრაპორსჩიკის ქალი; მამით-ობოლი—კოლეჟსკის ასესორის ქალი **ეკატერინე ფუდინოვისა**; დედ-მამიანი **ეკატერინე მელიქ-სარქისოვისა** ღუბერნსკი სეკრეტრის ქალი და ოლგა **ასლამაზოვისა** პარუჩიკის ქალი.

**რუსულ განყოფილებაში:** სრულიად ობოლი **ნადეჟდა მარკევიჩ** კაპიტნის ქალი, დედ-მამიანი — **მარიამ ანანი** კაპიტნის ქალი. (3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება VI ტომი
**„ცნობათა კრებისა კავკაზიაზედ“**
გამოცემა კავკასიის სტატისტიკოს კომიტეტისა.

ამ წიგნის შინაარსია:

„თბილისის ერთ-დღიური აღწერა 25 მარტს 1876 წ.“

სულ არის 570 გვერდი *in* 4, 19-ს დამატებით, სახელდობრ:

1) 15 ლიტოგრაფიული დახაზული ტაბლიცები.

2) 2 პლანი თბილისისა შარდენსა, 1671 წ.) და ტურნეფორისა (1701 წ.)

3) კოპიო თბილისის პლანისა შედგენილი მეფის ძის ვახუშტისაგან.

4) ეხლანდელის თბილისის პლანი.

ეს წიგნი ისყიდება შემდეგ წიგნების მაღაზიაში: ბერენშტამთან, კავკაზიის წიგნის სავაჭროში, ცენტრალურს წიგნის სავაჭროში. ფასი 4 მანეთი. ვისაც დაბარება სურს ფოჩტით, ხუთი გირვანქის გაგზავნის ფასი გამოგზავნოს. (4—4)

---

**იაგორ კასუმოვის** და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად.** (10—8)

---

**შეკოლადი და კაკაო**

ფრეი და შვილები, რომლებმაც პარიჟში გამოფენის დროს ოქროს მენდალი დაიმსახურეს, როგორც იქნა ბოლოს მიღებულ იქმნენ ინგლისის მაღაზიაში. იქვე მიიღეს აგრეთვე მრავალი ჩაი. (10—8)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი· რედაქტორები ილ, ჭავჭავაძე და ს. მესხი